იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 80 „22" აგვისტო 2020 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის *ქუთაისის* იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების ტერიტორია".

2. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[1] პუნქტი:

„13[1]. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბიურომ შესაძლებელია განახორციელოს იურიდიული დახმარება სხვა ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში.“

3. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს რამაზ ჩინჩალაძე

თავმჯდომარე:

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ბექა ძამაშვილი

პავლე აბაიაძე

ესმა ნორაკია

ირაკლი გვარამაძე

სოფო ჩაჩავა